კონსტანტინოპოლის საყდრის სააპელაციო უფლება

დავით ნებიერიძე

აპელაცია (ბერძ. η Εκκλήτος, ლათ. Appelattio „მიმართვა“), როგორც საერო, ისე კანონიკურ სამართალში, არის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში, რომელსაც აქვს უფლება, არსებითად გადასინჯოს საქმე და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება. მართლმადიდებლურ სამყაროში უმაღლეს სასამართლო ინსტანცია მსოფლიო კრებაა, მაგრამ, როგორც ცნობილია, VIII საუკუნის შემდეგ მსოფლიო კრება აღარ გამართულა. ამგვარად, უმაღლესი სასამართლო ინსტანციის უფლებამოსილება იტვირთა მსოფლიო საპატრიარქომ კანონიკური და საეკლესიო ტრადიციის საფუძველზე.

საჩივრის (აპელაციის) მიღება კონსტანტინოპოლის საყდრის უფლებაა. მხოლოდდამხოლოდ იგია უფლებამოსილი, ჩაერიოს, განსაჯოს და გადაჭრას სადავო საკითხები, რომლებიც მისი იურისდიქციის გარეთ წარმოიქმნება. მისი ეს უფლება დაფუძნებულია როგორც საეკლესიო კანონებზე, ასევე, ეკლესიის ორიათასწლოვან კანონიკურ ტრადიციაზე. ამ უფლების შესახებ მოწმობენ როგორც კანონთა განმმარტებლები, ისე საეკლესიო ისტორიის წყაროები.

დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ აპელაციის უფლებას არ ფლობს მსოფლიო პატრიარქი, არამედ ეს უფლება კონსტანტინოპოლის საყდრის პრეროგატივაა, ანუ საჩივარს ყოველთვის იღებს და განიხილავს მსოფლიო საყდრის წმინდა სინოდი. ამასთან, მრავალი ფაქტი და წყარო მიუთითებს, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიას შეეძლო ჩარეულიყო და განეხილა სხვა საპატრიარქოების პრობლემები იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი თხოვნით მიმართავდნენ კონსატანინოპოლის წმინდა საყდარს.[1]

---

[1] <https://www.ec-patr.org/docdisplay.php?lang=gr&id=2689&tla=gr> [12/02.2019]

ქვემოთ წარმოვადგენ იმ წყაროებს და არგუმენტებს, რომლებიც მიუთითებენ კონსტანტინოპოლის ამ განსაკუთრებული უფლების შესახებ. ეკლესიის ისტორია და კანონიკური სამართალი ცალსახაა ამ საკითხის მიმართ, – აშკარად და ცხადად მიუთითებს კონსტანტინოპოლის საყდრის ამ უფლების კანონიკურობაზე.

ცნობილია, რომ პირველი საყდარი, რომელსაც მიენიჭა უფლება, სხვა ეკლესიებიდან მიეღო საჩივრები, რომის ეკლესია იყო. მას ეს უფლება მიანიჭა სარდიკიის ადგილობრივმა კრებამ მე-3, მე-4 და მე-5 კანონებით. ამ კანონების თანახმად, რომის ეპისკოპოსს საჩივრის მიღება და ხელახალი განხილვა შეეძლო, მაგრამ ყოველივე ამას იგი აკეთებდა არა დამოუკიდებლად, არამედ დიდ კრებასთან ერთად.[2] ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ რომის საყდარი საჩივრებს იღებდა არა მარტო დასავლეთიდან, არამედ აღმოსავლეთიდანაც. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ წმინდა ათანასე დიდის შემთხვევა, ასევე, წმინდა ფლაბიანე კონსტანტინოპოლელის საჩივარი „ავაზაკთა კრების“ (449 წ.) შემდეგ რომის დიდი კრებისადმი.[3] გვინდა თუ არ გვინდა, რომის ეს პატივი უნდა ვაღიაროთ, რადგან, როგორც ვიცით, სარდიკიის კრების კანონები შესულია მართლამადიდებელი ეკლესიის კანონთა კრებულში. ამასთან, რომის საყდრის ეს პატივი პირდაპირ კავშირშია კონსტანტინოპოლის საყდართან, რადგანაც, მოგეხსენებათ, რომ კონსტანტინოპოლის საყდარს **„რომის ეპისკოპოსის თანაბარი პატივი“** მიენიჭა მეორე მსოფლიო კრების (381 წ.) მე-3 კანონით. აღსა-ნიშნავია, რომ რომის თანაბარი პატივი არ გულისხმობდა მხოლოდ რომის ეკლესიის შემდგომ მეორე ადგილს, არამედ იმ პრივილეგიებსაც, რომელსაც ფლობდა რომის საყდარი და რა თქმა უნდა, აპელაციის უფლებასაც. ამას ადასტურებს ტრულის კრების 36-ე კანონიც: **„მიენიჭოს კონსტანტინოპოლის საყდარს რომის საყდრის**

---

[2] შეად., სარდიკიის ადგილობრივი კრების კანონები.

[3] ΜΗΤΡΟΠ. ΜΑΞΙΜΟΥ, ΤΟ ΟΙΚΟΥΜΕΝΙΚΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ ΕΝ ΤΗ ΟΡΘΟΔΟΞΩ ΕΚΚΛΗΣΙΑ, გვ.211.

თანაბარი უპირატესობა... და მსგავსადვე განიდი-დოს საეკლესიო საქმეებში...“

ამგვარად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინოპოლის საყდარს აპელაციის უფლება უნდა გამოეყენებინა მეორე მსოფლიო კრების შემდეგ. ამ ვარაუდის საშუალებას გვაძლევს 394 წლის კონსტანტინოპოლის ადგილობრივი კრება. ამ კრებაზე ხელახლა განიხილეს ანტიოქიის საპატრიარქოში უკანონოდ განსჯილი ვოსტროსის ეპისკოპოს ვაღდადიოსის საკითხი.[4] ის, რომ ეს ჩვეულება მეორე მსოფლიო კრების შემდეგ დამკვიდრდა, კარგად ჩანს აგრეთვე მეოთხე მსოფლიო კრების პრაქტიკებიდან. ამის დასადასტურებლად წარმოვადგენ ორიოდე მაგალითს მეოთხე მსოფლიო კრების პრაქტიკებიდან:

1. კუნძულ ქიოსის ეპისკოპოს ტრიფონის სიტყვა, რომელიც მიემართება კონსტანტინოპოლის ადგილობრივ (ენდიმუსა) კრებას, სადაც ხშირი იყო უკვე გასამართლებული ეპისკოპოსების მისვლა, რათა ამ უკანასკნელებს იქ სამართალი ეპოვნათ. ის, რომ ეს ჩვეულება უკვე არსებობდა კონსტანტინოპოლის საყდართან მიმართებით, იქიდანაც ჩანს, რომ ეპისკოპოს ტრიფონის სიტყვებს არ მოჰყოლია სხვა საწინააღმდეგო აზრი იქ მყოფი ეპისკოპოსებისგან.[5]

2. კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი ანატოლიოსის სიტყვები, რაც პირდაპირ მიუთითებს „ჩვეულებაზე“[6], რომელიც უკვე არსებობდა კონსტანტინოპოლის საყდართან მიმართებით, ტრადიციაზე, რომელიც გულისხმობდა უსამართლოდ განსჯილი ეპისკოპოსების ხელახლა განსჯას. ამასთან, აღსანიშნავია – 450 წლის კონსტანტინოპოლის ენდიმუსა კრებაზე თვით ანატოლიოსის მიერ განხილულ იყო ანტიოქიის იურისდიქციაში შემავალი ორი მოდავე ეპისკოპოსის საქმე.[7] აშკარაა, რომ უკვე მეხუთე საუკუნისთვის კონსტანტინოპოლის საყდარი საჩივრებს სხვადასხვა საპატრიარქოებიდან იღებდა.

---

[4] ΒΛΑΣΙΟΥ ΙΩ. ΦΕΙΔΑ, ΕΚΚΛΗΣΙΑΣΤΙΚΗ ΙΣΤΟΡΙΑ Α’, გვ. 32.
[5] ACO 2, 1, 3, გვ. 107.
[6] ACO 2, 1, 3, გვ. 107.
[7] ACO 7, გვ. 91.

ამგვარად, ვხედავთ, რომ ჩვეულებას და ტრადიციას დიდი მნიშვნელობა აქვს კანონიკური ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. ის არსებული ტრადიცია, რომელზეც საუბრობდა ანატოლიოს კონსტანტინოპოლელი, დამტკიცებულ იქნა მეოთხე მსოფლიო კრების მე-9 და მე-17 კანონებით. ეს კანონები აღმოსავლელ ეპისკოპოსებს აპელაციის უფლებას აძლევენ სამთავროს ეგზარქოსთან ან კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსთან. საყურადღებოა ფაქტი, რომ კონსტანტინოპოლის საყდარს ეს უფლება უცაბედად არ მიუღია, ანუ ქალკედონის კრების მე-9 და მე-17 კანონები არ შექმნილა იმიტომ, რომ მაინცდამაინც კონსტანტინოპოლის საყდრისთვის მიენიჭებინა აღნიშნული უფლება, არამედ ამ კანონებით მსოფლიო საპატრიარქოს დაუმტკიცდა ის, რაც მანამდე საეკლესიო ტრადიციაში უკვე არსებობდა.

საჩივრების მიღება როგორც რომში, ისე კონსტანტინოპოლში მოქმედებდა ფოტიოსის 879-80 წლების კრებამდე. ამ კრებამ კი პირველივე კანონში განსაზღვრა, რომ რომის საყდრის უფლებამოსილება ვრცელდებოდა მხოლოდ დასავლეთში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით, ხოლო კონსტანტინოპოლისა – აღმოსავლეთში წარმოქმნილ საკითხებთან დაკავშირებით.

კონსტანტინოპოლის ამ უფლებას ხაზგასმით აღნიშნავენ ცნობილი ბიზანტიელი კანონოლოგები. წარმოვადგინოთ თითოეული მათგანი. არისტინე ქალკედონის მე-9 კანონის განმარტებისას წერს: „არც საეკლესიო კანონებისგან და არც პოლიტიკური კანონებისგან არცერთ საპატრიარქოს არ მიუღია ეს განსაკუთრებული უფლება (იგულისხმება აპელაციის უფლება), რაც მიიღო კონსტანტონოპოლის საყდარმა.“[8] სარდისის მიტროპოლიტ მაქსიმეს თანახმად, არისტინეს მიერ წარმოდგენილი ეს განმარტება ემყარება ქალკედონის კრების მე-9 კანონის უძველეს განმარტებას, რომელიც პირველად გვხვდება უცნობი ავტორის მიერ შედგენილ ტრაქტატში, რომლის სახელწოდებაა – „უწმინდესი კონსტანტინოპოლის საყდრის პრივილეგიების შესახებ“. ეს ტრაქტატი ემყარება საეკლესიო და პოლიტიკურ კანონებს და

[8] Р.П.В’, გვ. 240 „ὅπερ προνόμιον οὐδενὶ τῶν ἄλλων πατριαρχῶν ἐδόθη“.

სავარაუდოდ, შედგენილია 610-629 წლებში.[9] აგრეთვე, მეორე მსოფლიო კრების მე-3 კანონის განმარტებისას არისტინე აღნიშნავს, რომ „რომის თანაბარი პატივის მქონეა კონსტანტინოპოლი“[10], ხოლო 28-ე კანონზე საუბრისას ამბობს, – რადგან კონსტანტინოპოლი რომის თანაბარი პატივით სარგებლობა, ეს გულისხმობდა იმასაც, რომ ჰქონდა ყველა ის პრივილეგია, რასაც რომის საყდარი ფლობდა. ამგვარად, არისტინეს თანახმად, კონსტანტინოპოლსაც ჰქონდა იგივე უფლებები და მაშასადამე, აპელაციის მიღების უფლებაც სხვადასხვა ეკლესიებიდან.

ანტიოქიის პატრიარქი და ცნობილი ბიზანტიელი კანონოლოგი თეოდორე ბალსამონი ცხადად საუბრობს კონსტანტინოპოლის ამ უფლების შესახებ. ანტიოქიის კრების მე-12 კანონის განმარტებისას ბალსამონი მიიჩნევს, რომ კონსტანტინოპოლის სასამართლო არის „უმაღლესი სასამართლო“. იქვე აღნიშნავს, რომ „მეორე და მეოთხე მსოფლიო კრებებმა კონსტანტინოპოლს მიანიჭეს რომის თანაბარი პატივი“[11]. აგრეთვე, სარდიკიის კრების მე-3 და მე-5 კანონების განმარტებისას ამბობს, რომ მხოლოდ რომის საყდარი არ ფლობს უფლებას, მიიღოს საჩივრები სხვა ეკლესიებიდან, ამ უფლებით აღჭურვილია კონსტანტინოპოლის წმინდა საყდარიც, რადგან მათ თანაბარი პატივი აქვთ.[12]კიდევ ერთი, მე-14 საუკუნეში მოღვაწე კანონოლოგი მათე ვლასტარი საკუთარ „სინტაგმაში“ იზიარებს სხვა კანონოლოგების აზრს და აღიარებს, რომ კონსტანტინოპოლს ჰქონდა უფლება, მიეღო საჩივრები სხვა ეკლესიებიდან.[13]

ბოლოს, წარმოგიდგენთ, ასევე, ცნობილ კანონოლოგ ზონარას, რომლის განმარტებებებსაც ზოგიერთნი განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ. თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზონარაც საუბრობს რომის საყდრისა და კონსტანტინოპოლის

---

[9] ΜΗΤΡΟΠ. ΜΑΞΙΜΟΥ, ΤΟ ΟΙΚΟΥΜΕΝΙΚΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ ΕΝ ΤΗ ΟΡΘΟΔΟΞΩ ΕΚΚΛΗΣΙΑ, გვ.143.
[10] Ρ.Π. Β’, გვ. 176.
[11] Ρ.Π. Γ’, გვ.149.
[12] Ρ.Π. Γ’, გვ. 237.
[13] Ρ.Π. ΣΤ’, გვ. 429.

საყდრის თანაბარუფლებიანობაზე, როდესაც განმარტავს სარდიკიის კრების მე-5 კანონს, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულისხმობდა აპელაციის უფლების ქონასაც. ხოლო რაც შეეხება ქალკედონის კრების მე-17 კანონს, სქოლიოში ვკითხულობთ: „არ შეუძლიათ, რომ ანტიოქიის (ფინიკია, სირია) და იერუსალიმის (პალესტინა) საპატრიარქოების მიტროპოლიტები გასამართლდნენ კონსტანტინოპოლის საყდრისგან, მათი სურვილის გარეშე, არამედ უნდა გასამართლდნენ საკუთარი საპატრიარქოებისგან“.[14] რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები „მათი სურვილის გარეშე“, თუ არა იმას, რომ თუ ისინი ამას ისურვებდნენ, თავისუფლად შეეძლოთ, რომ მიემართათ კონსტანტინოპოლის საყდრისთვის. ქალკედონის კრების მე-9 და მე-17 კანონების ჭეშმარიტი განმარტება არ შეიძლება განსხვავდებოდეს იმ განმარტებისგან, რომელსაც საეკლესიო და კანონიკური ტრადიცია ფლობს.

გარდა კანონოლოგებისა, კონსტანტინოპოლის უფლებას – მიიღოს საჩივრები, აღიარებენ პატრიარქები და საეკლესიო მოღვაწეები. მე-12 საუკუნის მოღვაწე ნილოს დოქსაპატრი საკუთარ ნაშრომში – „საპატრიარქო საყდართა წეს-განგება“, წერს: „კონსტანტინოპოლის პატრიარქი ხელს აწერს როგორც ახალი რომის ეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი, აგრეთვე, ფლობს იმ თანაბარ პატივს და პრივილეგიებს, რასაც ფლობდა ძველი რომის საყდარი... როგორც რომის საყდარს შეეძლო მიეღო და განესაჯა სხვადასხვა სახის საკითხი სხვა საპატრიარქოებისგან, ამგვარადვე შეუძლია მოიქცეს კონსტანტინოპოლი და მიიღოს საჩივრები სამი საპატრიარქოდან...“[15] კონსტანტინოპოლის ეს უფლება ჩანს კონსტანტინოპოლის პრაქტიკულ ქმედებებშიც. მსოფლიო პატრიარქმა ლუკა ქრისოვეგმა (1157-1170) გააუქმა ამათუნდის ეპისკოპოსის განკვეთა კვიპროსის ეკლესიაში, რადგან ამ უკანასკნელმა სწორედ კონსტანტინოპოლის საყდარს მიმართა.

---

[14] Р.П. В’, გვ. 260.

[15] <https://www.ec-patr.org/docdisplay.php?lang=gr&id=2689&tla=gr> [12.02.2019]

ასევე, კონსტანტინოპოლის პატრიარქი კალისტო I (1355 წ.) ტირნობის მთავარეპისკოპოსის მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში მიუთითებს, რომ „კონსტანტინოპოლის საყდარს შეუძლია ხელახლა განსაჯოს ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატრიარქოების მიღებული გადაწყვეტილებები, რადგან ამის უფლება მას საღვთო კანონების მიხედვით აქვს“[16].

1663 წლის კონსტანტინოპოლის ადგილობრივმა კრებამ, პატრიარქ დიონისე III თავმჯდომარეობით, რომელსაც ესწრებოდნენ ალექსანდრიის პატრიარქი პაისი, ანტიოქიის პატრიარქი მაკარი და იერუსალიმის პატრიარქი ნექტარიოსი, მრავალი საკითხი განიხილა. ერთ-ერთი საკითხი კი შეეხებოდა კონსტანტინოპოლის საყდრის უფლებას, რამდენად შეეძლო მიეღო და განესაჯა საჩივრები სხვა საპატრიარქოებიდან. კრების გადაწყვეტილება ამ საკითხთან მიმართებით იყო ერთსულოვანი: „კონსტანტინოპოლის საყდარი ამ უფლებას ფლობდა და შეეძლო გადაეწყვიტა სხვა საპატრიარქოთა პრობლემები, რადგან მას, წმინდა კანონთა თანახმად, ჰქონდა თანაბარი პატივი ძველი რომის საყდრისა“.[17] როგორც ვხედავთ, ამ კრების გადაწყვეტილების მიხედვით, კონსტანტინოპოლის ეს უფლება ეფუძნება თანაბარი უფლების პატივს, რომელიც კონსტანტინოპოლმა მეორე და მეოთხე მსოფლიო კრებებზე მოიპოვა. მომდევნო პატრიარქმა დიონისე IV კი განკვეთა ანტიოქიის პატრიარქი კირილე ანტიოქიის საპატრიარქოს მიტროპოლიტების მოთხოვნის შემდეგ. იმავე პატრიარქმა გაამართლა კვიპროსის დასჯილი პატრიარქი ნიკიფორე კონსტანტინოპოლის საყდრის წინაშე აპოლოგიის შემდეგ.

XVIII საუკუნეში კონსტანტინოპოლის მრავალი პატრიარქი, იერუსალიმელი პატრიარქების მიმართვის შედეგად, გმობს სინას მთის მთავარებისკოპოსების მცდელობას, განთავისუფლდნენ იერუსალიმის საყდრის სულიერი მეთვალყურეობისგან.[18]

---

[16] იქვე.
[17] იქვე.
[18] <https://www.palamacentre.com/2018/10/22/მსოფლიო-საყდრის-ექსკლუზიური-უფლება-სადავო-საკითხებთან-დაკავშირებით/> [12.02.2019]

უფლება, კონსტანტინოპოლის საყდარმა საჩივრები მიიღოს, ხასგასმულია 1848 წლით დათარიღებულ ეპისტოლეში, რომელიც აღმოსავლეთის ოთხმა პატრიარქმა (ანთიმი კონსტანტინოპოლელი, იეროთეოს ალექსანდრიელი, მეთოდიო ანტიოქიელი, კირილე იერუსალიმელი) გაუგზავნა რომის პაპ პიუს IX. ეპისტოლეში ოთხივე პატრიარქი უარყოფს პაპის პრიმატს და აღნიშნავენ, რომ კონსტანტინოპოლის საყდარს აქვს უფლება, მიიღოს აპელაცია სხვა საპატრიარქოებიდან, რადგან ეს „ძმურ თანამონაწილეობაა“ და „ძმური დახმარება ქრისტიანურ რწმენაში“.[19]

შეგვიძლია, აგრეთვე, მოვიყვანოთ მაგალითები თანამედროვე ეპოქიდან, როდესაც ბულგარეთის პატრიარქმა ბულგარეთში არსებული სქიზმის დროს, პრობლემის გადასაჭრელად მიმართა მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსს, რომელმაც ბულგარეთში პრობლემის გადასაჭრელად დიდი კრება მოიწვია. 2005 წელს, როდესაც იერუსალიმის პატრიარქი ირინეოსი გადააყენეს, წმინდა საფლავის საძმომ სწორედ კონსტანტინოპოლისგან მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების დამტკიცება. კონსტანტინოპოლმა კი პირველმოსაყდრეთა კრება მოიწვია, სადაც ეს გადაწყვეტილება დამტკიცდა.

ბოლოს, მინდა წარმოვადგინო რამდენიმე მეცნიერის მოსაზრება ამ თემასთან დაკავშირებით:

სმოლენსკის ეპისკოპოსი იოანე სოკოლოვი აღნიშნავს, რომ „აპელაციის უფლება იყო განსაკუთრებული უფლება, რომელიც საეკლესიო და საერო კანონების მიხედვით, აღმოსავლეთის ეკლესიაში (IV მსოფ. კრების მე-9, მე-17 და 28-ე კანონებით) მინიჭებული ჰქონდა კონსტანტნოპოლის საყდარს, ისე როგორც დასავლეთში – რომს. ამასთან, ეს უფლება იყო ნებელობითი და არა ვალდებულებითი, აგრეთვე, არ ეკუთვნოდა პიროვნებას, ანუ პატრიარქს, რათა არ მომხდარიყო მისი ერთპიროვნული გაბატონება აღმოსავლეთის ეკლესიაში.[20]

---

[19] <https://www.ec-patr.org/docdisplay.php?lang=gr&id=2689&tla=gr> [12.02.2019]

[20] ΜΗΤΡΟΠ. ΜΑΞΙΜΟΥ, ΤΟ ΟΙΚΟΥΜΕΝΙΚΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ ΕΝ ΤΗ ΟΡΘΟΔΟΞΩ ΕΚΚΛΗΣΙΑ, გვ.175

ფრანგი მეცნიერი Vailhé საკუთარ ნაშრომში –„კონსტანტინოპოლის ეკლესია“ წერს: „დედაქალაქის ეპისკოპოსს ჰქონდა უფლება, გადაეწყვიტა პრობლემები იმ შემთხვევაში, თუ მას თხოვნით მიმართავდნენ ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის და კვიპროსის ეკლესიის კლერიკოსები. მეოთხე მსოფლიო კრების ორი კანონი – მე-9 და მე-17 – ზუსტად განსაზღვრავენ და მსაჯულის როლს განუკუთვნებენ ენდიმუსა სინოდს და ბიზანტიელ ეპისკოპოსს იმიტომ, რომ კონსტანტინოპოლს ჰქონდა პატივით მეორე ადგილი და პირველი იყო აღმოსავლეთში. ამგვარად, დანარჩენი საპატრიარქოები იძულებულნი იყვნენ, გარკვეული პრობლემების შემთხვევაში მიემართათ კონსტანტინოპოლის საყდრისთვის.[21]

რუსი მეცნიერი და თეოლოგი კარტაშოვი ხაზს უსვამს კონსტანტინოპოლის საყდრის ამ უფლებას. იგი წერს, რომ აპელაციის უფლება არის კონსტანტინოპოლის კანონიკური უფლება, რომელიც ანალოგიურია ძველი რომის საყდრის უფლებისა. მისი ეს უფლება ვრცელდებოდა ბულგარეთის, სერბეთის, ვლახეთის და რუსეთის ეკლესიებზე. მრავალი ფაქტი და საჩივარია ისტორიიდან ცნობილი, სხვადასხვა საპატრიარქოებიდან მოსული სასულიერო პირების თხოვნით, რომელიც კონსტანტინოპოლის საყდარმა განიხილა. ეს ყოველივე ხაზს უსვამს კონსტანტინოპოლის საყდრის მსოფლიოობას და იმას, რომ ეს უფლება ნამდვილად კანონიკურია და ნამდვილად ეკუთვნის კონსტანტინოპოლის საყდარს.[22] ყოველივე ეს კარგად ჩანს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდანაც.

ამგვარად, როგორც ზემოთ წარმოვადგინეთ, კონსტანტინოპოლის საყდარი კანონიკურად ფლობს ამ უფლებას და არავის შეუძლია, ეს უარყოს. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ უფლებას მას განუკუთვნებს მეოთხე მსოფლიო კრება მე-9 და მე-17 კანონებით, ხოლო მეორე იმიტომ, რომ კონსტანტინოპოლს

---

[21] ΜΗΤΡΟΠ. ΜΑΞΙΜΟΥ, ΤΟ ΟΙΚΟΥΜΕΝΙΚΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ ΕΝ ΤΗ ΟΡΘΟΔΟΞΩ ΕΚΚΛΗΣΙΑ, გვ.179

[22] ΜΗΤΡΟΠ. ΜΑΞΙΜΟΥ, ΤΟ ΟΙΚΟΥΜΕΝΙΚΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΕΙΟΝ ΕΝ ΤΗ ΟΡΘΟΔΟΞΩ ΕΚΚΛΗΣΙΑ, გვ.180-181

ძველი რომის საყდრის თანაბარი პატივი აქვს. ამასთან, ეკლესიის ისტორია და კანონიკური სამართალი ცალსახაა და აშკარად მიუთითებენ, რომ კონსტანტინოპოლის საყდარს ეს უფლება ჰქონდა და ამ უფლებით სარგებლობდა მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში – დაწყებული მეოთხე საუკუნიდან დღემდე. ამგვარად, მის მიერ პატრიარქ ფილარეტის თხოვნის შემდეგ რუსეთის სინოდის გადაწყვეტილების ხელახალი გადასინჯვა სრულიად კანონიერია და ზედმეტია საუბარი რაიმე ანტიკანონიკურ ქმედებაზე კონსტანტინოპოლის საყდრის მხრიდან.